

ტესტი გეოგრაფიაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



- კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-23.

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. როდის გახდნენ უკრაინა, ბელარუსი და მოლდოვა სუვერენული სახელმწიფოები?

ა) XX საუკუნის დასაწყისში, პირველ მსოფლიო ომამდე;

ბ) პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში;

გ) XX საუკუნის 60-იან წლებში;

დ) XX საუკუნის 90-იან წლებში.

2. რომელ სახელმწიფოზე არ გადის გრინვიჩის მერიდიანი?


ა) პორტუგალიაზე;

ბ) ესპანეთზე;

გ) გაერთიანებულ სამეფოზე;

დ) საფრანგეთზე.

3. რომელი წერტილის გეოგრაფიული კოორდინატებია: ჩ.გ. 20° და ა.გ. 30°?



- ა) A
- ბ) B
- გ) C
- დ) D

4. რომელი ხელსაწყო შეიძლება გამოვიყენოთ ტოპოგრაფიული აზომვებისას?

ა) სეისმოგრაფი;

ბ) ექოლოტი;

გ) ჯიპიესი;

დ) ანემომეტრი.

5. სად არის თავმოყრილი დედამიწის მტკნარი წყლის უდიდესი მარაგი?

ა) ჭაობებში;

ბ) მყინვარებში;

გ) წყალსაცავებში;

დ) მდინარეებში.

6. რომელია ჩამქრალი ვულკანი?

ა) შხარა;

ბ) თეთნულდი;


გ) დიდი აბული;

დ) დიკლოსმთა.

7. რომელი გეოგრაფიული ობიექტი არ მდებარეობს ყაზბეგის ეროვნულ პარკში?




8. რას ასახავს მოცემული რუკა?



- ა) მსოფლიოს მოსახლეობის სიმჭიდროვეს;
- ბ) იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების მდებარეობას;
- გ) სეისმურად აქტიური ადგილების მდებარეობას;
- დ) მოსახლეობის მიგრაციული აქტივობის ადგილებს.

9. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, კანდიდატი და დამკვირვებელი სახელმწიფოებია აღნიშნული რუკაზე?



- ა) ოპეკის;
- ბ) ევროპის საბჭოს;
- გ) ევროპის კავშირის;
- დ) ნატოს.

10. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქებიდან რომელი მდებარეობს სუბტროპიკულ სარტყელში?

ა) სოჭი;

ბ) ვანკუვერი;

გ) ოსლო;

დ) ინსბრუკი.

11. მეცხოველეობის რომელი დარგი არ არის განვითარებული საუდის არაბეთში?

ა) მეფუტკრეობა;

ბ) მეფრინველეობა;

გ) მეცხვარეობა;

დ) მეღორეობა.

12. რომელი სასარგებლო წიაღისეულით არის მდიდარი ჩრდილოეთის ზღვის შოტლანდიის სანაპირო შელფი?


ა) ნავთობით;

ბ) ქვანახშირით;

გ) ტორფით;



დ) მანგანუმით.

13. რომელი რელიგიის შესახებ არის მოცემული ინფორმაცია რუკაზე?




- ა) ისლამის;
- ბ) ქრისტიანობის;
- გ) ბუდიზმის;
- დ) იუდაიზმის.

14. რომელი სახელმწიფოს მონაცემებია ასახული წრეწიროვან დიაგრამებზე?



- ა) საფრანგეთის;
- ბ) გერმანიის;
- გ) გაერთიანებული სამეფოს;
- დ) აშშ-ის.

15. ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება დიაგრამის ლეგენდას?



- ა) 1- მრეწველობა, 2-სოფლის მეურნეობა, 3 - მომსახურება;
- ბ) 1- მომსახურება, 2- სოფლის მეურნეობა, 3-მრეწველობა;
- გ) 1- მომსახურება, 2-მრეწველობა, 3-სოფლის მეურნეობა;
- დ) 1-სოფლის მეურნეობა, 2-მრეწველობა, 3-მომსახურება.

16. ჩამოთვლილთაგან რომელი სახელმწიფოა მსოფლიოს პირველ ათეულში როგორც ტერიტორიის ფართობის, ასევე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით?

ა) ავსტრალია;

ბ) ინდონეზია;

გ) ყაზახეთი;

დ) აშშ.

17. ჩამოთვლილთაგან რომელია სკანდინავიის ქვეყანა?

ა) ბელგია;

ბ) დანია;

გ) შვეიცარია;

დ) ირლანდია.

18. რა საერთო აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოებს: გაერთიანებული სამეფო, ჩინეთი, აშშ, საფრანგეთი?

ა) ოთხივე ქვეყანა რესპუბლიკაა;

ბ) ოთხივე ქვეყანა ბირთვული იარაღის მფლობელია;

გ) ოთხივე ქვეყნის მთავარი ფინანსური ცენტრი არ არის დედაქალაქი;

დ) ოთხივე ქვეყანა, როგორც მოსახლეობით, ასევე ფართობით, შედის მსოფლიოს ქვეყნების ათეულში.

19. რომელ სახელმწიფოს შეუჩერეს „დიდი რვიანის“ წევრობა?

ა) ჩინეთს;

ბ) ავსტრალიას;

გ) ინდოეთს;

დ) რუსეთს.

20. რომელია მართებული დებულება?

- ა) მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების უმრავლესობაში ესპანური ოფიციალური ენაა, კონტინენტის მოსახლეობის დაახლოებით 50%-ის მშობლიური ენა პორტუგალიურია;
- ბ) აშშ-ს მთავრობამ კანადის საზღვარზე კედლის აშენების გადაწყვეტილება მიიღო;
- გ) გაერთიანებული სამეფოსა და კონტინენტურ ევროპას შორის სარკინიგზო მიმოსვლა არ არსებობს;
- დ) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ევროპის კავშირში ვეტოს უფლებით სარგებლობს.

21. რომელი ბუნებრივი რესურსის მოპოვებაა შესაძლებელი ღია კარიერული წესით?

- ა) ნავთობის;
- ბ) ბუნებრივი აირის;
- გ) ოქროს;
- დ) მინერალური წყლის.

22. საქართველოში რომელი მდინარის აუზში უკავია მეტი ფართობი თანამედროვე გამყინვარებას?

ა) რიონის;

ბ) თერგის;

გ) ენგურის;

დ) მტკვრის.

23. რომლის შექმნაშია გამოყენებული მეტამორფული წარმოშობის ქანი?

ა)



ბ)



გ)



დ)




- რუკის ანალოზი - დავალება № 24-25.

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებში მოცემულ რუკებს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

24. (4 ქ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



გადასვლა ცხრილზე; კითხვებზე

გერმანიის ფედერალური მიწები

1	ბადენ-ვიურტემბერგი	9	ზაარლანდი
2	ბავარია	10	საქსონია
3	ბერლინი	11	საქსონია-ანჰალტი
4	ბრანდენბურგი	12	შლეზვიგ-ჰოლშტაინი
5	ბრემენი	13	ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია
6	თიურინგია	14	ქვემო საქსონია
7	მეკლენბურგ-წინა პომერანია	15	ჰამბურგი
8	რაინლანდ-პფალცი	16	ჰესენი

გადასვლა [რუკაზე](#); [კითხვებზე](#)

- 24.1. (1ქ.) რომელ ფედერალურ მხარეში მდებარეობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი დედაქალაქი (1949-1990 წწ.)?
- 24.2. (1ქ.) დაასახელეთ გერმანიის რომელი ფედერალური მიწის, რომელ ქალაქში 800 წელია ტარდება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ბაზრობები? 2018 წელს აქ გამართულ წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საპატიო სტუმრის სტატუსით მიწვეული იყო საქართველო.
- 24.3. (1ქ.) გერმანიის რომელი ფედერალური მიწის დედაქალაქია საავტომობილო მანქანათმშენებლობის უმსხვილესი ცენტრი, რომელშიც მდებარეობს კორპორაცია დაიმლერ-ბენცის სათაო ოფისი?
- 24.4. (1ქ.) გერმანიის რომელი ფედერალური მიწის ტერიტორიაზე მდებარეობს კილის სანაოსნო არხი და რომელ ზღვებს აკავშირებს იგი?

გადასვლა [რუკაზე](#); [ცხრილზე](#)


25. (4 ქ.) თანდართული ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

25.1. (1ქ.) ახსენით, რუკაზე დატანილი რომელი მდინარის დინების სიჩქარეა ყველაზე ნაკლები?

25.2. (1ქ.) ახსენით, რა მიუთითებს სოფ. საუბრეთის მიდამოებში ქარის ენერჯის გამოყენებაზე?

25.3. (1ქ.) ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით ახსენით რომელია მდ. ჭკუდის მარცხენა შენაკადი?

25.4. (1ქ.) რუკაზე დატანილ რომელ მონაკვეთს შეესაბამება მოცემული პროფილი?




- ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 26-34.

ინსტრუქცია


ყურადღებით გაეცანით დავალებებში მოცემულ ინფორმაციას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი მონიშნეთ ან ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

26. (1ქ.) რა სახით არის მტკნარი წყლის მარაგი ოკეანეებში?


27. (1ქ.) ახსენით წლის განმავლობაში რომელ წერტილში მოვა უფრო ნაკლები რაოდენობის ატმოსფერული ნალექი?



28. (1ქ.) რა ეწოდება ილუსტრაციაზე ციფრი 3-ით აღნიშნულ ადგილს?





29. (2 ქ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებია აღნიშნული რუკაზე ლურჯი ფერით? რატომ არის რუკაზე ლურჯი ფერით დატანილი სამხრეთი ამერიკის ერთ-ერთი ქვეყანა?

30. (2 ქ.) გაანალიზეთ რუკებზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



გადასვლა კითხვებზე


30.1. (1 ქ.) ნახ.1-ზე ლეგენდაში მითითებული ფერების მიხედვით დაასახელეთ ინდოევროპულ ენათა ოჯახის ენები, რომლებიც სამხრეთ ამერიკის აღნიშნულ ქვეყანაში ოფიციალური ენის სტატუსით სარგებლობს (შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილი).

სახელმწიფო	ენა
<i>ნიმუში:</i>	
<i>საფრანგეთის გვიანა (3)</i>	<i>ფრანგული</i>
არგენტინა (1)	
ბრაზილია (2)	
გაიანა (5)	

30.2. (1 ქ.) რას ასახავს ნახ. 2-ზე მოცემული რუკა?

გადასვლა [რუკებზე](#)

32. (4 ქ.) გაანალიზეთ N ქალაქის კლიმატური დიაგრამა და უპასუხეთ კითხვებს:



გადასვლა კითხვებზე

32. 1. რომელ კლიმატურ სარტყელში მდებარეობს მოცემული ქალაქი?

ა) არქტიკულში; ბ) ანტარქტიკულში; გ) ტროპიკულში; დ) სუბტროპიკულში.

32.2. რა არის გამოთვლილი მოცემული ქალაქისთვის: $33,8-8,9=24,9^{\circ}\text{C}$?

- ა) საშუალო წლიური ტემპერატურა;
- ბ) ტემპერატურის ამპლიტუდა;
- გ) ტემპერატურული გრადიენტი;
- დ) წლიური ტემპერატურის მსვლელობა.

32.3. (1 ქ.) მოცემული ქალაქი მდებარეობს სამხრეთ ნახევარსფეროში. დაასაბუთეთ ეს ფაქტი მოცემული დიაგრამიდან გამომდინარე?

32.4. (1 ქ.) რას უდრის მოცემულ ქალაქში ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა? აუცილებლად უჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

გადასვლა [დიაგრამაზე](#)

33. (6 ქ.) გაანალიზეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

2008 წელს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიური მოვლენა 950 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე გავრცელდა და 250 ჰა გაანადგურა. სტიქია 12 აგვისტოს დაიწყო და 26 აგვისტომდე მძვინვარებდა. განსაკუთრებით დაზარალდა სოფელი დაბისა და წალვერის მიმდებარე ტერიტორიები. სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად დაიგეგმა აღდგენითი ღონისძიებები, რომლებიც წარმატებით მიმდინარეობდა 2017 წლამდე.

9 წლის შემდეგ, 20 აგვისტოს, სტიქიამ კვლავ იჩინა თავი. მან მთლიანად მოიცვა 2008 წლის სტიქიით დაზარალებული ტერიტორია და დამატებით 237 ჰექტარზეც გავრცელდა. არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო მისი ლოკალიზაცია დროულად ვერ მოხერხდა. საქმეში სამაშველო სამსახური და სამხედრო ძალები ჩაერთო, სტიქიასთან ბრძოლა ორ კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა. განადგურდა ფლორისა და ფაუნის უნიკალური სახეობები. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეკოსისტემის იმავე სახით აღდგენა შეუძლებელია, თუმცა ადამიანის ძალისხმევით შემთხვევაში მეტნაკლებად შესაძლებელია ეკოსისტემის რეგენერაცია, რასაც დაახლოებით 50-100 წელიწადი დასჭირდება.

აღნიშნული ტერიტორია აღდგენის სირთულეების პარალელურად ეროზიის სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მდინარე ნაღვარევის წყალშემკრები აუზი საკმაოდ დიდი დახრის კუთხის მქონე მთაგორიანი რელიეფით ხასიათდება. აქ წვიმის წყალს აღარაფერი აკავებს, რაც ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენის (ჰუმუსი) მუდმივ გადარეცხვას იწვევს და ამავდროულად იზრდება დამეწყვრის საშიშროება.

[გადასვლა ფოტოებზე; კითხვებზე](#)



გადასვლა ტექსტზე; კითხვებზე

33.1. რომელ დაცულ ტერიტორიას შეუქმნა საფრთხე ამ სტიქიურმა მოვლენამ?

ა) აჯამეთის ნაკრძალს; ბ) კოლხეთის ეროვნულ პარკს; გ) ბორჯომის ნაკრძალს; დ) ჭაჭუნას აღკვეთილს.

33.2. (1ქ.) რომელი სტიქიური მოვლენაა აღწერილი ტექსტში?

33.3. (2ქ.) დაასახელეთ სავარაუდო ერთი ბუნებრივი და ერთი ანთროპოგენური ფაქტორი, რასაც შეიძლება გამოეწვია 2017 წელს მომხდარი სტიქიური მოვლენა.

33.4. (1ქ.) დაასახელეთ მეტეოროლოგიური ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს აღნიშნული სტიქიური მოვლენის ლოკალიზებას.

33.5. (1ქ.) დაასახელეთ თანმხლები უარყოფითი ბუნებრივი მოვლენები, რომელთა განვითარებასაც ხელი შეუწყო ტექსტში აღწერილი ეკოსისტემის განადგურებამ?

[გადასვლა ტექსტზე; ფოტოებზე](#)

34. (9 ქ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

კახეთი

კახეთის ფართობი 11375 კმ²-ია და 8 ადმინისტრაციულ ერთეულს მოიცავს. ახმეტის მუნიციპალიტეტში, ზღ. დ. 1650-4493 მ სიმაღლეზე, დაახლოებით 896 კმ² ფართობი საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს უკავია. აქ მიმავალი სამანქანო გზა სოფ. ფშაველიდან იწყება და საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო სამანქანო გადასასვლელის გავლით (2 926 მ) ომალოში მიდის. ეს გზა წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე თვე ფუნქციონირებს.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, კახეთის მთლიანი მოსახლეობა 318 583 კაცს შეადგენდა, აქედან 247 057 კაცი სოფლად ცხოვრობს. მოსახლეობის 85% ქართველია, 10 % - აზერბაიჯანელი, 1,75% - ქისტი, დანარჩენი სხვა ეროვნებების წარმომადგენლები არიან.

სასოფლო-სამეურნეო სავარგული კახეთში 315 499 ჰა შეადგენს. კახეთის სოფლის მეურნეობა ყოველთვის განიცდიდა წყლის ნაკლებობას. რეგიონში, საქართველოში არსებული ხორბლის ნათესი ფართობის 71%, ქერის 43%, მზესუმზირის 90% და ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების 50%-ია თავმოყრილი. ამ მაჩვენებლებით განსაკუთრებით დედოფლისწყაროს, სიღნაღისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები გამოირჩევა. საქართველოს 32 960 ჰა ვენახიდან 23 877 ჰა კახეთშია. აქ გავრცელებული ყურძნის ძირითადი ჯიშის გარდა, გვხვდება საფერავი, კახური მწვანე, გორის მწვანე, კაბერნე, თითა, ქისი და სხვა.

მხარეში ბუნებრივ ღირსშესანიშნაობებს შორის განსაკუთრებული ადგილი დაცულ ტერიტორიებსა და ნაკრძალებს უკავია. კურორტები ცოტაა, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კურორტი ქ. გურჯაანის მახლობლად, ალაზნის ველზე, გომბორის ქედის ფერდობის ძირში, ზღვის დონიდან 410-430 მ. სიმაღლეზე მდებარეობს.

[გადასვლა ცხრილზე; კითხვებზე](#)

კახეთის მხარის მოსახლეობა¹

მუნიციპალიტეტი წელი	1989	2002	2014
ახმეტის	42 300	41 600	31 700
გურჯაანის	78 400	72 600	54 600
დედოფლისწყაროს	37 300	30 811	21 500
თელავის	78 000	70 600	58 500
ლაგოდეხის	54 400	51 100	41 700
საგარეჯოს	60 300	59 200	51 700
სიღნაღის	49 300	43 600	30 400
ყვარლის	42 200	37 700	29 900

გადასვლა [ტექსტზე](#); [კითხვებზე](#)

¹ ციფრებთან ოპერირების გაადვილების მიზნით ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები დამრგვალებულია.

34.1. 22.5% - რომელი მონაცემია მოცემული კახეთისთვის?

- ა) კახეთის მოსახლეობის წილი საქართველოს მოსახლეობაში; ბ) ქალაქის მოსახლეობის წილი კახეთის მოსახლეობაში;
- გ) სოფლის მოსახლეობის წილი კახეთის მოსახლეობაში; დ) კახეთის მოსახლეობის ზრდის ტემპი.

34.2. (1 ქ.) რომელ უღელტეხილზეა საუბარი ტექსტის პირველ აბზაცში?

34.3. (1 ქ.) დაასახელეთ ბუნებრივი ფაქტორი, რის გამოც კახეთის სოფლის მეურნეობა განიცდის წყლის ნაკლებობას?

34.4. (1 ქ.) რომელია რეგიონში გავრცელებული ყურძნის ძირითადი ჯიში?

34.5. (1ქ.) გამოთვალეთ, საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით რამდენ პროცენტს შეადგენს კახეთის ფართობი (აუცილებლად უჩვენეთ გამოთვლის პროცესი);

34.6. (2 ქ.) რომელ კურორტზეა საუბარი ტექსტის ბოლო აბზაცში? რომელი ბუნებრივი რესურსის ბაზაზე ფუნქციონირებს იგი?

34.7. (2ქ.) ცხრილში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ააგეთ დედოფლისწყაროს მოსახლეობის დინამიკის ამსახველი სვეტოვანი დიაგრამა.

[გადასვლა ტექსტზე: ცხრილზე](#)